



სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო
უნივერსიტეტი

წლიური ანგარიში

2014-2015

სასწავლო წელი



შინაარსი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი _____	3
სამართლის ფაკულტეტი _____	4
ბიზნესის და ტურიზმის ფაკულტეტი _____	6
საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური _____	8
ბიბლიოთეკა _____	10
იურიდიული სამსახური _____	11
საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური _____	13



ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების ანგარიშის ნაწილში აღსანიშნავია, რომ შესრულდა ყველა დასახული მიზანი. კერძოდ, სასწავლო უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა ავტორიზაციის პროცესი, ხოლო თეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებმა მიიღო აკრედიტაცია;

სწავლების ახალი მეთოდების დანერგვის კუთხით სასწავლო პროცესში სასწავლო კურსების მიმდინარეობისას პერიოდულად ჩართულნი იყვნენ დარგის ცნობილი სპეციალისტები; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შემუშავდა და დამტკიცდა შესაბამისი კურსების სილაბუსები;

გაიზარდა აკადემიური პერსონალი: კონკურსის საფუძველზე შეირჩა ორი ასოცირებული პროფესორი, მოწვეული პერსონალი;

სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნების მიზნით ყოველკვირეულად ეწყობოდა სემინარები სხვადასხვა თემაზე;

კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებებიდან გაიმართა პოეზიისა და მუსიკალური საღამოები;

ქართველი და უცხოელი პროფესორების მიერ გაიმართა საჯარო ლექციათა ციკლი სხვადასხვა თემაზე, როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში, ასევე გარეთ.



სამართლის ფაკულტეტი

სამართლის ფაკულტეტზე 2014 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრი წარმატებით დასრულდა. ფაკულტეტის ძირითადი საქმიანობა მიმართული იყო სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციაზე. სამართლის საბაკალავრო პროგრამაში დაიგეგმა ცვლილებები, პროფესორებთან ერთად მუშაობა მიმდინარეობდა სილაბუსებზე, რაც საბოლოოდ ფაკულტეტის საბჭოზე იქნა გატანილი. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N249 გადაწყვეტილებით, სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია.

დიდი ყურადღება გამახვილდა სტუდენტებისთვის საკონსულტაციო ცხრილის მომზადებაზე, რათა სტუდენტებს საშუალება ჰქონოდათ, შესაბამისი სასწავლო დისციპლინის ირგვლივ, ლექტორისგან დამატებით მიეღოთ ინფორმაცია.

საშემოდგომო სემესტრში სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ დასწრებოდნენ საინტერესო ღონისძიებებს. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს ახალი გამოცემების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო „ევროპული სახელმეკრულებო სამართლის პრინციპების“ გამოცემის პრეზენტაცია, რომელიც საბაუნში ჩატარდა დავით ბატონიშვილის სამართლის სკოლის მიერ.

სტუდენტებში დიდი ინტერესი გამოიწვია დისკუსიამ თემაზე: „ტურიზმის ბიზნესის სამართლებრივი ასპექტები“, რომელსაც წარუძღვა მომზარდის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მრჩეველი, ნატო ტაბუცაძე. ასევე, ფაკულტეტმა სტუდენტების თხოვნით მოიწვია ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი ბექა მინდიაშვილი, რომელმაც ლექცია წაიკითხა თემაზე: „ტოლერანტობა და თანამედროვეობის გამოწვევები“. ფაკულტეტი მზაობას გამოხატავს სამომავლოდაც დაგეგმოს მსგავსი აქტივობები.



2015 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრი ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა. სამართლის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2015 წლის საგაზაფხულო სემესტრში სამართლის საბაკალავრო პროგრამა დაასრულა 16-მა სტუდენტმა.

სამართლის ფაკულტეტი აქტიურად მუშაობდა სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განვითარებაზე. სასწავლო კურსების გამრავალფეროვნების მიზნით, სამართლის საბაკალავრო პროგრამას დაემატა არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი დემოკრატია და მოქალაქეობა. სამართლის სამაგისტრო პროგრამაში კი გაიზარდა არჩევითი დისციპლინების რაოდენობა.

სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად ჩაერთნენ სტუდენტური დებატ-კლუბის საგაზაფხულო სეზონის მეორე შესარჩევ შეჯიბრში, სადაც დიდი წარმატება მოიპოვეს. ასევე, სტუდენტების ინიციატივით მოეწყო დათო ტურაშვილთან შეხვედრა, რომელმაც გამართა დიალოგი ლიტერატურაზე.

საგაზაფხულო სემესტრის სასწავლო პროცესის მიმდინარეობა არ შეფერხებულა. შუალედური და დასკვნითი გამოცდები დაბრკოლების გარეშე ჩატარდა. სამართლის ფაკულტეტის რამდენიმე სტუდენტმა მიიღო სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტისა და ბაზისბანკის სახელობის სემესტრული სტიპენდია.

ზ. როგავამ მადლიერებით აღნიშნა, რომ ფაკულტეტის როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული სპეციალისტები მუდმივად ზრუნავენ სტუდენტთა აკადემიური მაჩვენებლის გაუმჯობესებაზე.



ბიზნესის და ტურიზმის ფაკულტეტი

ბიზნესის და ტურიზმის ფაკულტეტზე 2014-2015 სასწავლო წელი წარმატებით დასრულდა. სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნების მიზნით ყოველკვირეულად ეწყობოდა სემინარები და ტრენინგები სხვადასხვა თემაზე:

15-19 სექტემბერი: ტრენინგები კურსდამთავრებულთათვის: „აპლიკაციის პროცესი და პროცედურები“; „გასაუბრების პროცესი და პროცედურები“

4 ნოემბერი - საჯარო ლექცია „ტურიზმის ბიზნესის სამართლებრივი ასპექტები“, მომხსენებელი: მომბარდის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მრჩეველი, ნატო ტაბუცაძე.

26 ნოემბერი - სერტიფიცირებული საჯარო ლექცია “კერძო საკუთრება - ეკონომიკური თავისუფლების გარანტი”, „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი-ს“ წარმომადგენლები: რამაზ გერლიანი, ცენტრის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი, მათე გარდავა, ცენტრის დამფუძნებელი

19 მაისი, საჯარო ლექცია „ბიზნესისა და ქრისტიანობის დაპირისპირება“ , მომხსენებელი იენის ფრიდრიკ-შილერის უნივერსიტეტის პროფესორი, რაინჰარდ ჰაუპტი.

სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულები უნივერსიტეტის კულტურულ პროექტში „ ჩემი ქვეყნის საგანძური“, რაც თბილისის სხვადასხვა მუზეუმების მონახულება-გაცნობას გულისხმობდა. სტუდენტები სტუმრობდნენ სხვადასხვა მუზეუმს სრულიად უფასოდ (უნივერსიტეტის დაფინანსებით)

2014-2015 წელს, უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა „პოლიტიკის სადისკუსიო კლუბი“, რომლის ფარგლებში იმართებოდა შეხვედრები სხვადასხვა პოლიტიკურ ფიგურასთან. პროექტში ჩართულები იყვნენ სტუდენტები ყველა ფაკულტეტიდან.

2015 წლის გაზაფხულზე უნივერსიტეტის დაკვეთით გადაიღეს ლიბ-დაბის კლიპი, სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ საბაუნის ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები.



2015 წელს, სტუდენტური პროექტების ფარგლებში, ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებმა მოამზადეს შემეცნებითი პროექტი „რაჭა ჩემი სიყვარული“, პროექტი ითვალისწინება რაჭის ღირსშესანიშნაობების ფოტო გადაღებას და დაბეჭდვას გამოფენისათვის, პრეზენტაციების მომზადებას, კულტურულ ნომრებს (ტრადიციული კერძები, ცეკვა, სიმღერა). პროექტის პრეზენტაცია აკადემიური წლის ბოლოს შედგა საბაუნის უნივერსიტეტში.



საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

2014 წელს საბაუნში რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა, მათ შორის უნდა გამოვყოთ კარდინალ **დომინიკ მამბერტის** (წმინდა საყდრის სახელმწიფოებთან ურთიერთობის მდივანი, 13 სექტემბერი) და **კარდინალ კურტ კოხის** (წმინდა საყდრის ქრისტიანთა ერთიანობის ხელშემწყობი კომისიის პრეზიდენტი, 15 დეკემბერი) ვიზიტები. ამათგან კარდინალმა კურტ კოხმა ფართო აუდიტორიის წინაშე წაიკითხა მოხსენება „ეკუმენიზმი, მისი პერსპექტივები და პრობლემები“.

გარდა ამისა, საბაუნში უმასპინძლა ხუთი უცხოელი პროფესორის საჯარო ლექციასა და მოხსენებას, ესენია:

24-25-26 მარტი -კატალონიის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯილი რიბასი (ესპანეთი) (თეოლოგია უნივერსიტეტებში, სიკვდილის მიღმა, ჩვენი რწმენის ღმერთი)

6 მარტი - წმ. საყდრის აკრედიტებული ჟურნალისტი, ლუიჯი სანდრი (იტალია) (ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს 10 წლის იუბილე, ბუსანი, სამხრეთ კორეა)

1-2-3 აპრილი - ვარშავის კარდინალ სტეფან ვიშინსკი უნივერსიტეტის პროფესორი იოსებ ლუპინსკი (პოლონეთი) (ქართველი და პოლონელი ხალხის ურთიერთობა, ეკლესიების სქიზმა, მსოფლიო ეკლესიათა საბჭო).

6 მაისი - პროფ. ანტონი დებინსკი, ლუბლინის იოანე პავლე მეორის სახელობის კათოლიკური უნივერსიტეტის რექტორი (პოლონეთი) (უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა მოეწყო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. ასევე, საფუძველი ჩაეყარა უნივერსიტეტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას, დაიგეგმა სამომავლო პროექტები, მათ შორის ერასმუს+)

27 მაისი - ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ბერნარდ უდე, (გერმანია) (მისტიკა, როგორც უფლის სიყვარული ისლამსა და ქრისტიანობაში)

სემესტრის დასასრულს საბაუნის ესტუმრნენ გერმანიის თომას მორი აკადემიის პროფესორები, რომელთაც უნივერსიტეტის საქმიანობა გააცნო უნივერსიტეტის რექტორმა.



ამავე წლის აპრილში, საბაუნის რექტორი, პროფ. ვაჟა ვარდიბე დაჯილდოვდა საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდის KAAD -ს მიერ, როგორც წლის საუკეთესო მენეჯერი.

მემორანდუმები:

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტების ქსელი

ჟიტომირის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (უკრაინა)

ზაპოროჟიას ინჟინერიის სახელმწიფო აკადემია (უკრაინა)



ბიბლიოთეკა

2014-2015 სასწავლო წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით, ბიბლიოთეკაში შემოვიდა სულ 235 ცალი წიგნი. აქედან 230 ცალი ქართულ, ხოლო 5 ცალი უცხოურ ენაზე.

2014 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით ბიბლიოთეკაში შემოსული წიგნები დარგების მიხედვით							
ზოგად ი	რელიგ ია	სამართა ლი	მედიცი ნა	ხელოვნე ბა	ენათმეცნიერ ება	ისტორ ია	ჯამი
2	16	146	5	1	58	7	235

სასწავლო წლის განმავლობაში ბიბლიოთეკა მოემსახურა 3288 მკითხველს.

#	პროგრამის დასახელება	თვეები						ჯამი
		ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებე რვალ ი		
1.	სამართალი	360	381	436	208	12	1397	
2.	ტურიზმი	128	92	153	53	0	426	
3.	ბიზნესი	113	121	172	110	9	525	
4.	თეოლოგია	214	218	258	140	6	836	
5.	ინტერკულტურ ა	40	28	22	14	0	104	
							3288	



იურიდიული სამსახური

იურიდიული სამსახურის/იურისტის ძირითადი სამუშაო დატვირთვა მოიცავს, რექტორის აქტების (სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, მობილობა, აკადემიური შვებულება, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო კომისიის შექმნა, მივლინება, აკადემიური თანამდებობის დაკავება, დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ ბრძანებები და სხვ.), ხელშეკრულებების, მემორანდუმების შემუშავებას, დისციპლინური კომისიის სხდომებში მონაწილეობის მიღებას.

2014-2015 სასწავლო წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

№	შემუშავდა	ცვლილებები შევიდა
1	სტუდენტთა ქცევის კოდექსი	
2	ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი	
3	უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი	
4		უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა
5	საგანგებო შტაბის ჩამოყალიბების ბრძანება	
6		სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება
7	კრედიტების აღიარების კომისიის შექმნის ბრძანება	
8	აქტი უნივერსიტეტში თამბაქოს მოხმარების აკრძალვის შესახებ	



9	დისციპლინური კომისიის სხდომის ოქმების შედგენა, ბრძანებების მომზადება (2 ოქმი/ბრძანება)	
---	--	--



საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის ძირითადი მოვალეობაა უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიებების მენეჯმენტი, მათი ინიცირება. ღონისძიებების მედია მხარდაჭერა სოციალური მედიის მეშვეობით, ამასთან სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა მარკეტინგული მასალების დამზადებასა და გავრცელებას. სამსახურის ინიცირებით ჩატარდა რამდენიმე საქველმოქმედო კონცერტი, ლიტერატურული შეჯიბრება და სხვა. მოეწყო ბიბლიის საზაფხულო სკოლა სტუდენტებისთვის და ვიზიტი მუზეუმებში.

ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი:

Relationship of Georgian and Polish people speaker invited professor from Cardinal Stefan Vishinski University in Warsaw, Prof. JosepLupinski (in Akhaltsikhe, south Georgia);
Schism of Churches, speaker invited professor from Cardinal Stefan Vishinski University in Warsaw, Prof. JosepLupinski; (იოსებ ლუპინსკი)
World Councils of Churches, speaker invited professor from Cardinal Stefan Vishinski University in Warsaw, Prof. JosepLupinski;
Theology at the Universities, speaker invited professor from Catalonian University, Dr. Prof. Josep Gil I Ribas;
Beyond the death, speaker invited professor from Catalonian University, Dr. Prof. Josep Gil iRibas;
The God of our Faith, speaker invited professor from Catalonian University, Dr. Prof. Josep Gil iRibas;
10th Assembly of the World Council of Churches (in Busan, South Korea), Speaker accredited journalist of Holy Sea, Luigi Sandri;
Msgr. Dominique Mamberti, Prefect of the Apostolic Signatura in Roman Curia, visited our University
The Woman's role in the Christian Tradition, RusudanGotsiridze Bishop of the Evangelical Baptist Church of Georgia;
Freedom and Economic Freedom - Private Property as a Guarantee of Freedom - Center for Economic and Policy Research;
What is the Time? –father Pier Dumoulin;
The Republic of Plato and the holy catholic church, speaker prof. Zaza Shatirishvili;
Universality of the “catholic” Church, speaker prof. Levan Abashidze;
“Tolerance and Contemporary Challenges”, head of center of Tolerance, Beka Mindiasvhili;
About Freedom, speaker prof. Leva Ghambashidze;
Cardinal Kurt Kokh “Ecumenism, its problems and perspectives”;
– Role of Criminology in the State and in the Society, (collaboration with: Tbilisi State University, Academy of MIA,



LEPL Penitentiary and Probation Training Centre (PPTC), Group of Young Criminologists, Center for Crime Prevention and Innovative Programs of Ministry of Justice of Georgia, Prince David Institute for Law, Sulkhani-Saba Orbeliani Teaching University).

“Justice as a Prerequisite of Peace and Development” International Conference with collaboration Ukrainian Catholic University.
ბიბლიის საზაფხულო სკოლა წეროვანში
Presentation of INER Georgia
Presentation of Students Internship Project
Charitable exhibition organized by student self-government
“Gender and problems regarding on it”, speaker Irine Zhvania, expert of project “Gender and Policy” (UN)
“Manage your Career”, speaker: prof. Lali Gigauri
“Importance of participating in elections”, speaker: David Fetviashvili, expert of the CEC (Central Election Commission)
“St. Hildegard: the Human place in the Universe”, speaker rev. father Prof. Pierre Dumoulin
“21 advice for successful career”, speaker: Couch David Kenchadze
იმიტირებული პროცესების შეჯიბრება, USAID ორგანიზებული
ლიბდაბის კლიპის გადაღება
Orthodox priest, father Guram Otkhordia about Georgian monks and Mount Athos;
What is Love? Orthodox priest, father Theodore Gignadze
საქველმოქმედო ორგანიზაცია „საქართველოს კარიტასი“ პრეზენტაცია
Orthodox priest, Father Giorgi Skhirtladze about Contemporary Christian Thinking
What is Tolerance? Prof. Giorgi Maisuradze
მუზეუმებში ტური - ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა მონაწილეულეს რამდენიმე მუზეუმში, უნივერსიტეტის დაფინანსებით
მემორანდუმი ბაზის ბანკთან, რომლის შემდეგ დაენიშნათ ჩვენს სტუდენტებს სტიპენდიები
საქველმოქმედო კონცერტი
Dialogue with writer – meeting with writer Dato Turashvili
Actual problems of Tax Law”- prof. Zviad Rogava
Gali as a Russian Goulag – prof. David Zakaraia;
Meeting with rector of KUL, prof. Antoni Debinski
Bioethics, Euthanasia and In vitro – NGO, Iner Georgia
Stalinism - Lessons of history – Prof. Bondo Kupaძე;
Only God: Mystic as a God’s love in Islam and in Christianity – German Prof. Bernard Uhde
Our European Choice – former Ministry of defense of Georgia, Mr. Irakli Alasania
ლიტერატურული შეჯიბრება „სულხან-საბა მსოფლიო ლიდერი“, რომელშიც მონაწილეობდნენ სტუდენტები სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან (ტექნიკური უნივერსიტეტი, მესხეთის უნივერსიტეტი, ქართული უნივერსიტეტი)
Shroud of Turin – Father Pierre Dumoulin
იმიტირებული პროცესი სამართლის სტუდენტებისათვის

